სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42270263706516

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160754517

რეგისტრაციის თარიღი

08.07.2016 წ

ნოტარიუსი: იამზე ჩანქსელიანი
მისამართი: ქ. თბილისი, მეტროსადგურ ,,სარაჯიშვილი''-ს მიმდებარედ
ტელეფონი: 2 65 77 33

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
ქ. თბილისის ნოტარიუსი
იამზე ჩანქსელიანი
თბილისი, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ
ტელ: 265-77-33

GEORGIA
NOTARY OF TBILISI
Iamze Chankseliani
Tbilisi, nearby metro station "sarajishvili"
Tel: 265-77-33

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას თექვსმეტი წლის რვა ივლისს, მე, ნოტარიუს იამზე ჩანქსელიანს, პირდაპირი ელექტრონული კომინიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა მოქალაქე კახაბერ ოდიშელიძე, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ტავრია ემ TAVRIA M"-ს დირექტორი, იმყოფება თურქეთში და სურს ონლაინ რეჟიმში მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს მამუკა ხეცურიანს. აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად კახაბერ ოდიშელიძე, დაბ. 02.09.1976 წელს, რეგ. დუშეთი, სოფელი დავათი, პ№ 01021000314, მცხ. ოდესაში, დროებით თურქეთში მყოფი, დამიკავშირდა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს

დავადგინე კახაბერ ოდიშელიძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „ტავრია ემ TAVRIA"-ს დირექტორი, თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15222214, 13/11/2015 10:35:02, საიდენტიფიკაციო №429320870

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ მევლუდ ბალხამიშვილი, დაბ. **12.11.1973** წ., მცხ.: თბილისი, ე.ანდრონიკაშვილის ქ.145, ბ. 3, პ№ 01004011361, როგორც – ხელმომწერი პირი და ჯუმბერ დემეტრაშვილი, დაბ. 16.05.1968 წელს, მცხ. თბილისი, ე.ანდრონიკაშვილის ქ. N 145 ბ. 4, პ№ 35001078584, როგორც – მოწმე. ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების მონაწილე პირები, მოწმის ჩათვლით გაფრთხილებულნი იქნენ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348[1]-მე და 372-ე მუხლისა.

მე შევამოწმე სანოტარო აქტში მონაწილეთა ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 62 მუხლის მე-4 პუნქტისა შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე კახაბერ ოდიშელიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მისი თხოვნით და ჩემი თანდასწრებით ხელმომწერმა პირმა – მევლუდ ბალხამიშვილმა და მოწმემ – ჯუმბერ დემეტრაშვილმა ხელი მოაწერეს შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, კახაბერ ოდიშელიძე, როგორც შპს „ტავრია ემ TAVRIA"-ს დირექტორი უფლებამოსილებას ვანიჭებ მამუკა ხეცურიანს, დაბ. 30.11.1975 წ. მცხ. თბილისი, ე.ანდრონიკაშვილის ქ. N 145, ბ. 52, პ/№ 01021003007, რათა მან შპს სახელით აწარმოოს ქ. თბილისი, გლდანი, „ავშნიანი"-ში მდებარე შპს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, (საკადასტრო კოდით №01.11.17.006.455 და №01.11.17.006.454) დაწყებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობების გადავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმეები. რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, სსგს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში. სათანადო ორგანოებში ჩემი, როგორც შპს „ტავრია ემ TAVRIA"-ს დირექტორი სახელით წარადგინოს განცხადებები, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია სახლების მშენებლობების გადავადებასთან დაკავშირებით..

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობის ნდობით აღჭურვილ პირს.
მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

გადახდილია საზღაური – 50.00 ლარი + დღგ 9.00 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, სულ – 61.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 32 და 39 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსისა.

ხელმომწერი პირი: მევლუდ ბალხამიშვილი

მოწმე: ჯუმბერ დემეტრაშვილი

ნოტარიუსი: _____ /ი. ჩანქსელიანი/